№49
14.06.2014წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო " 14 " ივნისი 2014 წ.

ერთის მხრივ *ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრი, ქ. ბორჯომი წმინდა ნინოს ქ.№11, დირექტორის ვაჟა გელაშვილის სახით* (შემდგომში „დამკვეთი")

და მეორეს მხრივ *ი.მ. „ქეთევან კიკნაძე კომ სერვისი" ქ. ბორჯომი ტაბიძის ქ. №10, მისი დირექტორის ქეთევან კიკნაძის სახით.* (შემდგომში „შემსრულებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრისათვის კომბო პრინტერ-სკანერის შეკეთება
CPV 50300000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს
50 (ორმოცდაათი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა დამკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 14 ივნისიდან 2014 წლის 14 ივლისამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების გაწევის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

"დამკვეთი"_____ "შემსრულებელი"_____

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 შემსრულებელმა დამკვეთს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2014 წლის 14 ივნისიდან 2014 წლის 14 ივლისამდე.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი დამკვეთს და ერთი შემსრულებელს.

"დამკვეთი"

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურეობის ცენტრი, ქ. ბორჯომი წმინდა ნინოს ქ.№11 ს.ს თიბისი ბანკის ბორჯომის ფილიალი ა/ა №GE05TB0166834080100001, ბ/კოდი TBCBGE22 საიდენტიფიკაციო კოდი 226166154 . საკონტაქტო ტელეფონი 22-32-05. 599 207101.

ბ.ა. /ვაჟა გელაშვილი/

"შემსრულებელი"

ი.მ. „ ქეთევან კიკნაძე" კომ სერვისი ქ. ბორჯომი, ტაბიძის 10. პროკრედიტ ბანკი, საქართველო, ბ/კ MIBGGE22. ა/ა GE91PC0583600100001408.
ს/კ 11001009493. საკონტაქტო ტელეფონი. 555 41 14 96.

/ ქეთევან კიკნაძე /